განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2021 წლის 26 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12.2021

თბილისი
2021 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ბარამიძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შესაფასებლად წარმოდგენილი ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ეკონომიკის მაგისტრი 0311) 120 ECTS კრედიტს მოიცავს.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს: „ძირითადი სწავლის სფეროს" სასწავლო კურსები (80 კრედიტი); კონცენტრაციის სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები (10 კრედიტი); სამაგისტრო ნაშრომის მომზადება განისაზღვრა 30 კრედიტით, ხოლო პრაქტიკის კომპონენტი 5 კრედიტით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა არის აკრედიტებული და წარმოდგენილია რეაკრედიტაციის მიზნით. პროგრამა წინა აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N57).

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა -

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1, 2.1, 2.4, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5,1, 5.2 შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, ხოლო 1.2, 2.2, 2.3, 2.5, 2.6, 3.2, 5.3 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. აქედან გამომდინარე, პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთ, ხოლო მეორე და მეხუთე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ფორმულირებისასა გათვალისწინებულ იქნეს მისი გაზომვადობა აქტიური ზმნების გამოყენებით;

2. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების რუკა, სადაც მოცემულია მიმართება სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის. ვინადაინ არსებობს მათ შორის გარკვეული ლოგიკური შეუსაბამობა სასწავლო კურსის და სწავლის შედეგების შინაარსიდან გამომდინარე და დაიხვეწოს გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების დონეების განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობა;
3. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის დახვეწა, კერძოდ მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს აღნიშნული კონცენტრაციის შინაარსის შესაბამისი სასწავლო კურსი. ასევე მაკროეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში სასწავლო კურსის „თამაშთა თეორიის ეკონომისტებისათვის“ ნაცვლად ისწავლებოდეს მაკროეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსი;
4. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსში გაჩნდეს შემდეგი ჩანაწერი, რომელშიც მოცემული იქნება, რომ მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემას შეარჩევს არჩეული კონცენტრაციის მიხედვით;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა გაზომვადობის კუთხით და გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკა;
6. რეკომენდებულია რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების ურთიერთმფარავი ხასიათის აღმოფხვრა და გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით;
7. რეკომენდებულია, როგორც ნათლად გამოიკვეთოს, ისე დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, შეფასების მექანიზმები და დაცვის პროცედურები;
8. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში დაკონკრეტდეს შეფასების სისტემის კრიტერიუმები და რუბრიკები, ბუნდოვანების თავიდან აცილების და მეტი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით;
9. რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებასა და აკადემიური სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას;
10. რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს მაგისტრანტთა ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში დიდი წილი დაეთმოს პრაქტიკული კომპონენტის იმპლემენტაციას;
2. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროგრამის შესახებ სტუდენტების ინფორმფირებულობის ხარისხის გაზრდა;
3. სასურველია, რომ საკვანძო საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, რამდენიმე საგნის სილაბუსებში ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, დასათაურების ქვეშ კი - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა); ასევე, კონკრეტული კვირების მიხედვით განისაზღვროს აქტივობები;

4. კარგი იქნება, სასწავლო კურსის „სამეწარმეო სამართალი“ სილაბუსში წინაპირობა მიეთითოს;
5. სასურველია პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის განხორციელების პროცესში მონიტორინგის გაძლიერება, რათა სტუდენტმა გამოიმუშავოს მისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები;
6. სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით, სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში;
7. სასურველია, გაიზარდოს მაგისტრანტთა ხელმძღვანელების რაოდენობა;
8. სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე, არსებული ფინანსური უზრუნველყოფის ფარგლებში, მეტი წამახალისებელი ღონისძიება გატარდეს აკადემიური პერსონალის უცხოურენობრივი კომპეტენციების ამაღლების და პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობის მიმართულებით;
9. სასურველია გადამუშავდეს და დაიხვეწოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების სისტემა;
10. სასურველია სასწავლო კურსების რიდერები ბიბლიოთეკაში ინახებოდეს და დისტანციური სწავლების პირობებში ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული ფორმით;
11. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამებოდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს;
12. კარგი იქნება, უნივერსიტეტში მოქმედმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესმა მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი, შემუშავდეს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები;
13. სასურველია, სტუდენტებმა ცალკე შეაფასონ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა;
14. კარგი იქნება, მეტად იყოს დაცული კონფიდენციალური მონაცემები.
15. სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს წინა აკრედიტაციის რეკომენდაცია ბიზნესინგლისურის არსებობის შესახებ პროგრამის გაუმჯობესება-განვითარებისთვის.
16. სასურველია პროგრამის დახვეწისთვის გარე ექსპერტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების სათანადოდ გათვალისწინება, გარე შემფასებლების ანალოგი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებებისა და რჩევების მიღება-გაზიარება.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- მისასალმებელია ხარისხის სამსახურის კვლევების უნიკალური ელექტრონული სისტემის არსებობა, რომლითაც შესაძლებელია კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და სტუდენტთა კვლევის შედეგების ნახვა ფაკულტეტისა და სწავლების საფეხურის მიხედვით.

ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მისია და შრომის ბაზრის კვლევა. კერძოდ, უნივერსიტეტმა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევა მიზნად ისახავდა ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის განსაზღვრას დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან. კვლევის შდეგებიდან ირკვევა, რომ ,,მაღალკვალიფიციური ეკონომიკის სპეციალობის კადრები შრომის ბაზარზე მოთხოვნის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება“. ამ დასკვნების გათვალისწინებით შემუშავდა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტებს ღრმა თეორიული ცოდნა და გამოუმუშავოს პრაქტიკული უნარები და ჩამოუყალიბოს ანალიტიკური ეკონომიკური აზროვნება ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებების, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის შესახებ მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე. მიზნები კონცენტრაციების მიხედვით არის ჩამოყალიბებული. მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ფიზიკური და ადამიანური რესურსები. პროგრამის მიზნები ასახავს თუ რა ცოდნის, უნარების მქონე კურსადმთავრებულის მომზადებას ემსახურება. კერძოდ კურსდამთავრებული მიიღებს ღრმა თეორიული ცოდნას, ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებების, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის შესახებ მიკრო, მაკრო და საერთაშორისო და მენეჯერულ დონეზე. მიზანი ასევე ემსახურება ანალიტიკური უნარების გამომუშავებას. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია. იგი განთავსებულია უნივერსიტეის ოფიციალურ ვებგვერდზე. უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024. ამ გეგმის მე-4 მიზანი ემსახურება, როგორც სწავლების ასევე კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის ხელმძღვანელსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის მიზნებმა განსაზღვრეს სწავლის შედეგი, პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისასა გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები. პროგრამაში მოცემულია 6 სწავლის შედეგი. გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა სამ კონცენტრაციას მოიცავს (ეკონომიკური პოლიტიკა, მაკროეკონიმიკა, მენეჯერული ეკონომიკა), კონცენტრაციების ფარგლებში განსაზღვრულია ორი სწავლის შედეგი. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება

პროგრამის მიზნებს. მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა მოცემულია პროგრამაში მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკის საშუალებით. სწავლის შედეგები მთლიანობაში არის გაზომვადი, თუმცა ზოგიერთი სწავლის შედეგის გაზომვისათვის აუცილებელია სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნების გამოყენებით, მაგალითად შემდეგი სწავლის შედეგი საჭიროებს ფორმულირების დახვეწას: ,,აქვს ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის და მისი ინსტრუმენტების, ეკონომიკაში თანამედროვე რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა“. სწავლის შედეგები მიღწევადია და რეალისტური, ვინაიდან გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები, ხოლო უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ადამიანური და ფიზიკური რესურსების სწავლის შედეგების მისაღწევად.

სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართება მოცემულია სწავლის შედეგების რუკის სახით. თითოეული სასწავლო კურსი სწავლის შედეგებს ავითარებს გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების დონით. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკური კავშირი საგნებსა და სწავლის შედეგებს შორის შეიმჩნევა. თუმცა, ვხდებით ისეთ მიმართებას, რომელიც საჭიროებს დახვეწას. კერძოდ გაუგებარია როგორ ავითარებს მაკროეკონომიკა (II დონე) მეოთხე სწავლის შედეგს გაცნობის დონეზე, ხოლო 2.2 სწავლის შედეგს განმკიცების დონეზე. მიკროეკონომიკა (II დონე) როგორ ავითარებს მეორე სწავლის შედეგს გაცნობის დონეზე, ხოლო 3.3 სწავლის შედეგს განმკიცების დონეზე. გაუგებარია პროფესიული პრაქტიკა რატომ ვერ უზრუნველყოფს 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 3.1, 3.2 სწავლის შედეგებზე გასვლას. გაუგებარია სამაგისტრო ნაშრომი 1.2, 2.2, 3.1 და 3.2 სწავლის შედეგს რატომ ვერ ავითარებს, მაშინ როდესაც პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრისას გაირკვა რომ სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება იმის მიხედვით თუ სტუდენტი რომელ კონცენტრაციას აირჩევს.

სწავლის შედეგების რუკა გვიჩენებს, რომ მაკროეკონომიკა (II დონე) 2.2 სწავლის შედეგს განამტკიცებს, შემდეგ სტატისტიკის კვლევის მეთოდებით ხდება გაღრმავება, ფინანსური ბაზრებით და ინსტიტუტებით განმტკიცება, ხოლო სამაგისტრო ნაშრომით საერთოდ ვერ გავდივართ აღნიშნულ სწავლის შედეგზე. მაშინ როდესაც ლოგიკური თანმიმდევრობა არის შემდეგი: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. მსგავსი ლოგიკური შეუსაბამობა გვხდება 3.2, 2.1 სწავლის შედეგთან მიმართებით.

გაუგებარია სასწავლო კურსის ,,ადამიანური რესურსების მართვის“ და სწვლის შედეგს ,,შეუძლია ახსნას მენეჯერული გადაწყვეტილებები კონკურენტულ ბაზრებზე და ფასდადების პრაქტიკა საბაზრო ძალაუფლების მქონე ბაზრებზე, შეარჩიოს ანალიზის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება ოპტიმალური ბიზნეს გადაწყვეტილებების მიმღებებს“ შორის მიმართება.

სწავლის შედეგების შესაფასებლად შექმნილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებული კვალიფიკაციის შესაბამის დონე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; განსაზღვრულია სფეროს სპეციფიკა და დასაქმების სფეროები. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია დაინტერესებული პირების მოსაზრება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა.
- ოქმები, რომელიც გვიჩვენებს დაინტერესებული პირები ჩართულობას
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (მოქმედი პროგრამის შემთხვევაში);
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი,
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- კურიკულუმის რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ფორმულირებისასა გათვალისწინებულ იქნეს მისი გაზომვადობა აქტიური ზმნების გამოყენებით;
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების რუკა, სადაც მოცემულია მიმართება სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის. ვინადაინ არსებობს მათ შორის გარკვეული ლოგიკური შეუსაბამობა სასწავლო კურსის და სწავლის შედეგების შინაარსიდან გამომდინარე და დაიხვეწოს გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების დონეების განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დადგენილების „ბსუს მაგისტრატურაში მიღების წესის“ შესაბამისად სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას. უნივერსიტეტს პროგრამაზე დაშვების პირობად განსაზღვრულია ა უცხო ენის ფლობის (B1) დონეზე დასადგენი ტესტირება და ასევე იმისათვის რათა პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს მიაღწიოს აუცილებელია სპეციალობაში გამოცდის ჩაბარება, რათა შეფასდეს კანდიდატის აუცილებელი ცოდნა და კომპეტენციები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ (24.01.2012 12/ნ)“, 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის No10/ნ ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათ-ლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ ; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (#37 15 ივნისი, 2017) შეიქმნა ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი. ამ წესის მიხედვით შემუშავდა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის შინაარსი მოიცავს ძირითად სფეროს სასწავლო კურსებს, კერძოდ მაკროეკონომიკა II დონე, მიკროეკონომიკა II დონე, საერთაშორისო ეკონომიკა II დონე, ეკონომიკური პოლიტიკის თეორია, ეკონომიკური კვლევის მეთოდები, ციფრული ეკონომიკა, სტატისტიკური კვლევის მეთოდები, ფინასური ბაზრები და ინსტიტუტები, ეკონომეტრიკა II დონე, პროფესიული პრაქტიკა, სამაგისტრო ნაშრომი. ამ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია სამი კონცენტრაცია: მაკროეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა, მენეჯერული ეკონომიკა. კონცენტრაციის მოცულობა არის 30 კრედიტი. 30 კრედიტის მოცულობისაა კვლევის კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადება. სამაგისტრო ნაშრომის თემი შერჩევა ხდება იმის მიხედვით თუ სტუდენტი რომელ კონცენტრაციას აირჩევს. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი არცერთ დოკუმენტში არ იძებნება. აღნიშნული ჩანაწერი აუცილებლობა გამომდინარეობს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუქნტის შესრულების აუცილებლობიდან. კერძოდ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება, რომ კონცენტრაციისთვის გათვალისწინებულია 30 კრედიტი და დარღვეულია კონცენტრაციისთვის პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ის განსაზღვრის წესი და დგინდება ამ წესის გათვალისწინების საჭიროებაც. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მთლიანობაში შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას რამდენიმე გამონაკლისის გათვალისწინებით. კერძოდ მიგვაჩნია, რომ მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში ისწავლება ადამიანური რესურსების მართვა, რომელიც თავისი შენაარსიდან გამომდინარე არ მიეკუთვნება აღნიშნულ კონცენტრაციას. გარდა ამისა, მაკროეკკონომიკური კონცენტრაციის ფარგლებში ისწვლება თამაშთა თეორია ეკონომისტებისათვის. ამ სასწავლო კურსის სილაბუსის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საგანი მიეკუთვნება მიკრო ეკონომის მიმართულებას. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებს; დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამა განთავსებული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამების დებულება;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ ;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ინტერვიუს შედეგები;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის შესახებ“ დებულება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის დახვეწა, კერძოდ მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს აღნიშნული კონცენტრაციის შინაარსის შესაბამისი სასწავლო კურსი. ასევე მაკროეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში სასწავლო კურსის ,,თამაშთა თეორიის ეკონომისტებისათვის“ ნაცვლად ისწავლებოდეს მაკროეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსი.
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსში ან სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში გაჩნდეს შემდეგი ჩანაწერი, რომელშიც მოცემული იქნება, რომ მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემას შეარჩევს არჩეული კონცენტრაციის მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
როგორც უკვე აღვნიშნეთ პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსებს, კონცენტრაციებს და არჩევით საგნებს. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის და კონცენტრაციის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ეს გამონაკლისია ადამიანური რესურსების მართვა, რომელიც მოცემულია მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციაში. თამაშთა თეორია ეკონომისტებისათვის მაკროეკონომიკის კონცენტრაციაში. თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; თითოეული სასწავლო კურსისათვის შემუშავებულია სწავლის შედეგები, რომელიც ექვემდებარება შეფასებას. თუმცა, შეფასებისათვის აუცილებელია, რომ სწავლის შედეგები იყო გაზომვადი და ასახავდეს საგნის სპეციფიკას. სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ფომულირება საჭიროებს დახვეწას გაზომვადობის კუთხით და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ დახვეწას საჭიროებს შემდეგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები: მაკროეკონომიკა (მეორე დონე), საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკის პოლიტიკის თეორია, ეკონომიკური კვლევის მეთოდები, ციფრული ეკონომიკა. გარდა ამისა, ქცევითი ეკონომიკა ისწვლება ისწავლება ,,მომხმარებლის ქცევის“ ლიტერატურით, რომელიც მარკეტინგის მიმართულების საგანია. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ „სამეწარმეო სამართლის“ სილაბუსში უნდა მიეთითოს წინაპირობა, მაგალითად, შეიძლება ასეთი იყოს სასწავლო კურსი „მეწარმეობა.“ რამდენიმე საგნის („ეკონომიკური კვლევის მეთოდები“, „სტატისტიკური კვლევის მეთოდები“, „ეკონომიკური პოლიტიკის თეორია“, „ეკონომიკური პოლიტიკა“, „ეკონომიკური უსაფრთხოება“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“ და სხვა) კვირების მიხედვით სალექციო თემები ძალიან ზოგადია. დგინდება წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში მეტი კონკრეტიკის შეტანის საჭიროება საკვანძო საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, კერძოდ, ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, შემდეგ დასათაურების ქვეშ კი - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა). ამასთან, კარგი იქნებოდა დისციპლინების სილაბუსებში კონკრეტული კვირების მიხედვით აქტივობების განსაზღვრა. გარდა ამისა, ზოგიერთი საგნის („ციფრული ეკონომიკა“, „კეთილდღეობის ეკონომიკა“, „ეკონომიკური პოლიტიკა“ და სხვა) სილაბუსში გაერთიანებულია სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები ისე, რომ არ ჩანს, რომელია აქტივობა და რომელი - სწავლება-

სწავლის მეთოდი. უფრო მეტიც, ამ სასწავლო კურსების სილაბუსებში ცალკეა გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტები და მეთოდები, მაგრამ არაა გამოყოფილი სწავლება-სწავლის მეთოდები მაშინ, როცა ეს სხვა საგნების სილაბუსებში არის დამოუკიდებელ განყოფილებაში წარმოდგენილი. ამდენად, ჩანს სილაბუსების ერთიანი ფორმის შემუშავების საჭიროება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ○ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა: https://bsu.edu.ge/sub-15/news/index.html ; ○ ხელშეკრულება პარტნიორ უნივერსიტეტთან; ○ პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ○ სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა გაზომვადობის კუთხით და გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკა.
• **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** • სასურველია, რომ საკვანძო საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, რამდენიმე საგნის სილაბუსებში ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, დასათაურების ქვეშ კი - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა); ასევე, კონკრეტული კვირების მიხედვით განისაზღვროს აქტივობები; • კარგი იქნება, სასწავლო კურსის „სამეწარმეო სამართალი“ სილაბუსში წინაპირობა მიეთითოს. • სასურველია დარგობრივი უცხო ენის სასწავლო კურსების არსებობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■_**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
როგორც უკვე აღვნიშნეთ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმილირებისას გათვალისწინებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და დამსაქმებლების მოსაზრება. დამსამქებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან რომ პროგრამამ უზრუნველყოს პრაქტიკული უნარების გამომუშავება. სწორედ ამ მოსაზრების გათვალისწინებით შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგები. პრაქტიკული უნარების გამომუშავება ხდება ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში. კერძოდ ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები ამზადებენ პროექტებს და ახდენენ მათა პრეზენტაციას. ასევე სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით აკეთებენ ამოცანებს. მაგალითად, სასწავლო კურსის ,,ეკონომეტრიკის“ ფარგლებში ამოცანების ამოხსნისას იყენებენ პროგრამულ უზრყნველყოფას ,,Eviews”, ხოლო ,,სტატისტიკური კვლევის მეთოდებში“ – SPSS-ს. პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების გავლით მიღებულ ცოდნას და მიდგომებს სტუდენტები იყენებენ სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას. პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების კუთხით უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენციები. მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში, აწარმოონ კვლევები, წარმოებული კვლევების შედეგები ქვეყნდება სტუდენტურ სამეცნიერო კრებულში. ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და კვლევა აწარმოონ აკადემიურ პეროსნალთან ერთად. პრაქტიკული უნარების განვითარება ემსახურება ასევე პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, როგორიცაა პროფესიული პრაქტიკა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ორგანიზაციაში, რომელთანაც უნივერსიტეტი თანამშრომლობს, მიიღოს გარკვეული პროფესიული გამოცდილება, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას იკვეთება ისეთი სიტუცია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული პრაქტიკა ატარებს ფორმალურ ხასიათს და სტუდენტი ვერ ღებულებს რეალურ პრაქტიკულ უნარებს. ამ მხრივ აუცილებელი ხდება პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის განხორციელების პროცესში მონიტორინგის გაძლიერება, რათა

სტუდენტმა გამოიმუშავოს მისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დარგის ორგანიზაციებთან; ○ სტუდენტების აქტივობები; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ დაწესებულების წარმომადგენლებსა და სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები; ○ კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის განხორციელების პროცესში მონიტორინგის გაძლიერება, რათა სტუდენტმა გამოიმუშავოს მისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები. -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
,,პროგრამის კომპონენტებში არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) განსაზღვრულია სწავლის შემდეგი ფორმები: ვერბალური, ჯგუფური, წიგნზე/წყაროზე მუშაობა, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები, სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზი, სიმულაცია, არგუმენტირებული/კრიტიკული ესსე, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კვლევითი პროექტი, ელექტრონული სწავლება. აღნიშნულ მეთოდებს შორის ხშირად გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევის ანალიზს, კვლევით პროექტს, რომელიც ემსახურება პრაქტიკული უნარების განვითარებას. უნივერსიტეტში ასევე შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის. აღნიშნული მექანიზმი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილებით. პანდემიის პირობებში განხორციელდა დისტანციურ სწავლებაზე გადაწყობა. ამ მხრივ მოხდა პროფესორების დატრენინგება და საჭირო ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის. უნივერსიტეტში გამოიყენება სწავლების ისეთი ელეტრონული ფორმები, როგორიცაა ZOOM და MOODLE პლატფორმები (ლიცენზირებული). თუმცა, ამ კომპონენტის ფარგლებში გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერთა ჯგუფს გააჩნია შემდეგი მოსაზრება: დადგინდა რამდენიმე **საგნის („ციფრული ეკონომიკა“, „სტატისტიკური კვლევის მეთოდები“, „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“, „თამაშთა თეორია“, „სამეწარმეო სამართალი“, „საერთაშორისო ეკონომიკა“,** „ეკონომიკური უსაფრთხოება“, „ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა“ და სხვა) **სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდებთან** დაკავშირებით პრობლემური საკითხები: **ა. საჭიროა სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნებისა და ანალიტიკური უნარების** გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდების (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) გამოყენება, მით უმეტეს, მაგისტრატურის საფეხურზე. ბ. ამასთან, **სასწავლო კურსის „ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა“ გამოყენებულია სწავლება-სწავლის მეთოდებად ლექციის ფარგლებში პრეზენტაცია, დისკუსია და დემონსტრირება,** ჯგუფური მუშაობის ქუდქვეშ კი - დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია. ასევე, საგნის **„კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ სილაბუსით** სწავლება-სწავლის მეთოდებია ლექციის ფარგლებში ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი და თხრობა-საუბრის მეთოდი, ხოლო პრაქტიკული მუშაობის ქვეშ წარმოდგენილია წერა, დისკუსია-დებატები - ზეპირი გამოკითხვა, საკვლევი პროექტის პრეზენტაცია. გარდა ამისა, **„ეკონომიკური კვლევის მეთოდების“ სილაბუსში ცალკე გვხვდება ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ცალკე - თხრობა-საუბრის მეთოდი და ცალკე - გამოკითხვა <u>ზეპირი</u> ფორმით,** თუმცა შინაარსობრივად ერთსა და იმავე მეთოდს მოიაზრებს. ანალოგიურ პრობლემებს ვაწყდებით ზემოთ დასახელებული სასწავლო კურსების სილაბუსებშიც. ერთი მხრივ, ბუნდოვანია **სწავლების მეთოდთა ორჯერ გამეორება, მეორე მხრივ, ვერბალური მეთოდის გვერდით თხრობის**

მეთოდის ცალკე ასახვა ან ცალ-ცალკე პრეზენტაციისა და დემონსტრირების გამოყოფა. იკვეთება სწავლების მეთოდთა ურთიერთმფარავი ხასიათის აღმოფხვრის საჭიროება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები; ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე; ○ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების ურთიერთმფარავი ხასიათის აღმოიფხვრა და გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტის შეფასებისას ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, მათ შორის, შუალედური გამოცდა არანაკლებ 20 ქულისა, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულით. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებების გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა (შუალედური შეფასებების 35%). დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა სასწავლო კურსის შემთხვევაში არის 50%, ანუ 40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა. სასწავლო კომპონენტი დაძლეულია საერთო ჯამში 51 ქულის მიღების შემთხვევაში. ამ კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და შესაბამისია კანონმდებლობასთან. თითქმის ყველა სილაბუსში ასახულია დასკვნით გამოცდაზე დაშვებისა და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ასევე, ეს უკანასკნელი განსაზღვრულია უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების მოქმედი სისტემით. თუმცა, მინიმალური კომპეტენციების შესახებ ინფორმაცია არ გვხვდება შემდეგ სასწავლო კურსებში: „საერთაშორისო ეკონომიკა II დონე", „პროფესიული პრაქტიკა"

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები. თუმცა, გარკვეულ მათგანში არ არის დეტალურად ჩაშლილი ზოგიერთი შეფასების კომპონენტისთვის შიგა ქულობრივი გადანაწილება, მაგალითად, რა შემთხვევაში იწერება 1-დან 2 ქულამდე, ან 0 და 1,5 ქულა? ხშირად ეს ეხება შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტებს. მსგავსი ბუნდოვანება შეფასების სისტემაში გვხვდება შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „მაკროეკონომიკა II დონე", „მიკროეკონომიკა II დონე", „ეკონომიკური პოლიტიკის თეორია", „ეკონომიკური კვლევის მეთოდები" (საკვლევი პროექტის პრეზენტაცია), „ციფრული ეკონომიკა", „სტატისტიკური კვლევის მეთოდები", „ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები", „ეკონომეტრიკა II", „ეკონომიკური პოლიტიკა II", „ეკონომიკური დიპლომატია", „ეკონომიკური უსაფრთხოება", „ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა", „ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა", „ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები საქართველოში", „პლურარისტული ეკონომიკა", „ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია", „ეკონომიკური ზრდა და განვითარება", „ინსტიტუციონალური ეკონომიკა II" და ა.შ. ექსპერთა ჯგუფი დაინტერესდა ამ გარემოებით და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს მიიღო შემდეგი პასუხი, რომ მათ საჭიროდ არ მიიჩნიეს 1-2 ქულის დონეზე შეფასებების ჩაშლა.

სასწავლო კურსების სილაბუსებში ყველაზე ხშირად გამოყენებული შუალედური შეფასების კომპონენტებია (გარდა შუალედური გამოცდისა): დისკუსია-დებატები,

ქვიზები, ესე, რეფერატის მომზადება და მისი პრეზენტაცია. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს ისინი დადებითად აფასებენდნენ გამოყენებულ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კომპონენტებს. ზოგადად, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს. გარდა იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თავს იჩენს ბუნდოვანება და არ არის სიცხადე ქულობრივ გადანაწილებაში. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ სასურველი იქნებოდა როგორც შუალედურ შეფასებებში, ისე გამოცდების შეფასების კრიტერიუმებში უფრო მეტად პრაქტიკული ელემენტების იმპლემენტაცია.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, ე.წ. სტუდენტური პორტალი (იხ. ლინკი: https://portal.bsu.edu.ge/). სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, თავიდანვე გაეცნონ სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდნენ შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს თავისი მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობა. ამდენად, შეფასების ფორმები და კომპონენტები წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. აღსანიშნავია, რომ ონლაინ სწავლებისთვის აქტიურად გამოიყენება moodle-ის სისტემაც, სადაც უზრუნველყოფილია ელექტორნული სასწავლო მასალების განთავსება.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიულ პრაქტიკას. პრაქტიკის პროცესი მიმდინარეობს საკონტაქტო (პრაქტიკის ხელმძღვანელთან კონსულტაციები, მენტორთან უშუალო მუშაობა, მისი მითითებებისა და მიცემული დავალებების შესრულება, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა) და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატით. მისი მიმდინარე და საბოლოო შეფასების ჯამური ქულა სემესტრში არის 100. იგი ითვალისწინებს სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის შეფასებას პრაქტიკის ობიექტზე (სულ 60 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის დაცვას (სულ 40 ქულა). პრაქტიკის ანგარიშის დაცვაზე (დასკვნითი გამოცდა) დაშვების წინაპირობა სილაბუსში მოცემული არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაწესებულებაში მოქმედი წესის თანახმად, იგი უნდა შეადგენდეს 60 ქულის 35%-ს, ანუ 21 ქულას.

პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის აქტივობის შეფასების კომპონენტებია:

- მიზანდასახულობა - 10 (მაქს. ქულა)
- ოპერატიულობა - 10 (მაქს. ქულა)
- ინიციატივის გამოვლენა - 10 (მაქს. ქულა)
- შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე - 10 (მაქს. ქულა)
- დავალების შესრულების ხარისხი - 10 (მაქს. ქულა)
- პრაქტიკის დღიურის წარმოება - 10 (მაქს. ქულა)

პრაქტიკის ანგარიშის შესრულებისა და მისი პრეზენტაციის შეფასების კომპონენტებია:

- რეზიუმე - 5 ქულა;
- დაწესებულების აღწერა - 5 ქულა;
- პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა-ანალიზი - 15 ქულა;

- დასკვნები - 5 ქულა;
- დანართი - 2 ქულა;
- პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია - 10 ქულა.

ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების დეტალური რუბრიკები და ქულათა გრადაცია, სამწუხაროდ, არ არის მოცემული შესაბამის პროფესიული პრაქტიკის სილაბუსში. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ მეტი წილი პრაქტიკის ანგაშის შესრულებასა და პრეზენტაციაში უნდა ეთმობოდეს პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზს, პრობლემის გადაწყვეტას, ვიდრე უბრალოდ დაწესებულების აღწერას.

უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, ნახოს მისი ნაშრომი და გაიგოს რატომ ვერ მიიღო მისთვის სასურველი ქულა. სტუდენტი აპელაციას აფიქსირებს ელექტრონულად, რომლის საფუძველზე შესაბამისი დეპარტამენტი გამოყოფს კომისიას და ერთობლივად ხდება ნაშრომის გადახედვა. სასწავლო კურსის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს სტუდენტებს ეძლევათ სპეციალური კითხვარი შესავსებად, რომლის მიზანია სასწავლო კურსის შინაარსით, სწავლების და შეფასების მეთოდებით, კრიტერიუმებით კმაყოფილების დონის დადგენა, ამასთან, შესაბამისი უკუკავშირის მიღება სტუდნეტებისგან კომენტირების გზით. ასევე, ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სასწავლო კურსებისა და მიღებული შეფასების შედეგების ანალიზი. შედეგების დამუშავების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 **წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილება შეიცავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს, რომლის მე-16** მუხლი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურებს. აღნიშნულ საკითხებს შეეხო ცვლილება 2017 წლის 5 აპრილის N20 დადგენილებით. აქ ნათლად განისაზღვრა, რომ სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს და იგი წარმოადგენს მაგისტრის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს სამაგისტრო **ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი. <u>ის არ შეიცავს მკაფიო ჩანაწერს თანახელმძღვანელის არჩევის შესაძლებლობის შესახებ.</u>** თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებისას **თანახელმძღვანელის არჩევის მზაობაც არსებობს.** ამასთან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შეიცავს ანტიპლაგის პროგრამით პირველადი შემოწმების თაობაზე ჩანაწერს, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ პრობლემურია პლაგიატის <u>დონის დასაშვებობის პროცენტის განსაზღვრისა და პლაგიატის კატეგორიებად</u> დაყოფის საკითხები:

ა. ამასთან, სამაგისტრო **ნაშრომის შესრულების წესით ჯერ განსაზღვრულია ნაშრომის შემოწმება ანტიპლაგის პროგრამაზე, შემდეგ** კი გამოყოფილია პლაგიატის კატეგორიები:

- როგორც ირკვევა, **სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატი დასაშვებია, თუ ის 40%-ს** არ აღემატება;
- შემდეგ მითითებულია, რომ **„სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის (40%-ზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 80%-ისა)** შემთხვევაში ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას კორექტირების მიზნით, აპრობაციაზე დაშვების ან

დაუშვებლობის შესახებ, რასაც ასახავს დასკვნაში და წარუდგენს შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტს;

- ❖ გამოდის, რომ სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატი დაუშვებელი მაშინ, როცა ის 80%-ს აღემატება.

<u>დაუშვებელია პლაგიატის პროცენტული ოდენობის მიხედვით დასაშვებობაზე საუბარი, რადგან პლაგიატის</u> ნებისმიერი მინიმალური პროცენტული მაჩვენებელიც კი დაუშვებელია. **ამასთან, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-19 პუნქტი ითვალისწინებს <u>ამ წესის მე-12 მუხლის</u> „ვ“** ქვეპუნქტით დადგენილი არადამაკმაყოფილებელი შეფასების დროს ან საჯარო დაცვაზე გამოუცხადებლობისას მაგისტრანტის უფლებას, განმეორებით დაცვაზე წარუდგინოს ნაშრომი დაცვაზე დამატებით სასესიო პერიოდში. აქ მიზანშეწონილია, ჩაემატოს, რომ მაგისტრანტს აქვს უფლება, <u>„გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში.“</u> ამასთან, მე-12 მუხლი**ს „ვ“ ქვეპუნქტი არ აქვს, მას აქვს მე-3 პუნქტი, რომელიც შეიცავს უარყოფითი შეფასების ორ სახეს: (ა)** სტუდენტს, რომლის <u>საბოლოო შეფასება (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგები) არის (FX)</u> **<u>ვერ ჩააბარა - 41-50</u>** ქულა“, უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში; (ბ) თუ <u>სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების</u> **<u>ჯამით მიიღო 41 ქულაზე ნაკლები</u> ან არ გამოცხადდა,** ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით. ამ საკითხზე „ვ“ ქვეპუნქტს შეიცავს მე-16 მუხლის მე-11 პუნქტი.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი **წესის მე-16 მუხლის მე-20 პუნქტით დადგენილია: „სამაგისტრო ნაშრომის** ამ <u>მუხლის მე-12 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული</u> შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის <u>მე-12 პუნქტის მე-12 პუნქტის</u> „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.“ თუ ამ პუნქტს მე-16 მუხლის მე-19 პუნქტს შევუდარებთ, დიდი ალბათობით, ნაცვლად **<u>ამ წესის მე-12 მუხლის</u>** <u>„ვ“</u> ქვეპუნქტისა, უნდა ეწეროს <u>ამ მუხლის მე-11 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით</u> გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევა. ამასთან, მე-16 მუხლის მე-20 მუხლში, ნაცვლად ამ წერის მე-12 მუხლის „ზ“ პუნქტისა, სავარაუდოდ, უნდა მიეთითოს „ამ წესის მე-11 მუხლის „ზ“ პუნქტი. <u>დგინდება ამ უზუსტობების გასწორების საჭიროება.</u> ანალოგიურ ჩანაწერებს ვხვდებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის პროექტშიც, რომელიც ჯერ არაა დამტკიცებული.

როცა პლაგიატი დადგინდება, ჩანს, **რომ <u>მაგისტრანტს აქვს უფლება, გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი მომდევნო სემესტრში წარმოადგინოს, ხოლო პლაგიატის</u>** <u>40</u>%-ზე მეტის განსაზღვრისას მაგისტრანტს შეუძლია გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა. არადა, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით, თუ მაგისტრანტი მიიღებს მაგისტრატურის პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასებას, <u>მას არ აქვს იმავე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლება.</u> ამდენად, თუ სამაგისტრო ნაშრომში დადგინდა პლაგიატის არსებობა და დაიწერა „0“, დაუშვებელია, რომ <u>მაგისტრანტმა</u> <u>იმავე</u>

ან მომდევნო სემესტრში (ან თუნდაც ერთი წლის შემდეგ) წარადგინოს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი. ეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანებით დადგენილ ამ მოთხოვნას არ პასუხობს.

შესაძლოა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში **შესაცვლელია ტერმინი „პლაგიატი“ „მსგავსებით.“ თუმცა,** ერთი მხრივ, **დაუშვებელია პლაგიატის პროცენტული ოდენობის მიხედვით დასაშვებობაზე საუბარი, რადგან პლაგიატის** ნებისმიერი მინიმალური პროცენტული მაჩვენებელიც კი დაუშვებელია, მეორე მხრივ, თუნდაც **აქ ტერმინი „პლაგიატი“ ჩანაცვლდეს სიტყვით „მსგავსება“ ან „თანხვედრა“, 40-დან** 80%-მდე **მსგავსების** ნიშნულის მიჩნევა დასაშვებ მოცემულობად გაუმართლებელია, მით უფრო, მაგისტრატურის საფეხურისთვის;

ასევე, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ისინი სათანადოდ არ ფლობენ ინფორმაციას სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პროგრამის და წესების შესახებ. სასურველია, მათი ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა აღნიშნულ საკითხზე.

ასევე, ინტერვიუმ დაადასტურა, რომ **მნიშვნელოვანია აკადემიური კეთილსინდისიერების** საკითხზე ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა.

მართალია, სასწავლო პროცესის **მარეგულირებელი წესი შეიცავს მითითებებს რეცენზენტის დანიშვნასთან დაკავშირებით, მაგრამ არ გვხვდება ჩანაწერი** იმაზე, თუ რამდენი რეცენზენტი აფასებს სამაგისტრო ნაშრომს და რა უნდა ასახოს რეცენზენტმა თავის რეცენზიაში. თუ აქ მოიაზრება დადებითი ან უარყოფითი რეცენზიის დაწერა, ამავე წესში უნდა ჩანდეს, რა შედეგი დგება, როცა რეცენზენტის დასკვნა უარყოფითია. მხოლოდ ერთი პუნქტი გვხვდება იმაზე, რომ თუ **სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფასების ეტაპზე გამოვლინდა პლაგიატი,** ამის შესახებ მიეთითება რეცენზენტების დასკვნაში და წარედგინება დეკანს შემდგომი რეაგირებისთვის. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა დაიშვება საჯარო დაცვაზე, მიუხედავად რეცენზიის ხასიათისა, დაცვის დროს უშუალოდ უპასუხებს მაგისტრანტი რეცენზენტის მიგნებებს. თუ ეს არ ეხება ნაშრომში პლაგიატის ნიშნების დაფიქსირების შემთხვევას, დგინდება რეცენზიის მექანიზმის უფრო ეფექტიანად გამოყენების საჭიროება. არადა თუ სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის ნიშნებია, ბუნდოვანია, რა საფუძვლით უნდა იყოს ნაშრომი საჯარო დაცვაზე დაშვებული, ხოლო თუ საჯარო დაცვაზე დაშვება არ ეხება პლაგიატის შემთხვევას, ესეც კონკრეტული ღონისძიებების სახით უნდა ჩანდეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ამდენად, საბოლოოდ **დგინდება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების წინაპირობების დოკუმენტში ნათლად ასახვის** **საჭიროება.**

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ **როგორც სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, ისე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი არ შეიცავს მონაცემებს შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებისა და შესაბამისი ქულობრივი გადანაწილების** **შესახებ.** სახელდობრ, არ ჩანს, რომელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სამაგისტრო ნაშრომი სხვადასხვა შეფასების („ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“ და სხვა) მისაღებად. მართალია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრულია ნაშრომის შეფასების ოთხი ძალიან ზოგადი კრიტერიუმი (კვლევის აქტუალობა, მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის აკადემიური დონე, პრეზენტაციის უნარი), მაგრამ **არ ჩანს, რომელ კრიტერიუმში რა მოიაზრება და**

<u>რომელი მოთხოვნები როგორ უნდა იყოს დაცული, ასევე,</u> რომელი კრიტერიუმისთვის რა ქულაა გათვალისწინებული და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ **როგორც სილაბუსში, ისე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში არაა განსაზღვრული,** კონკრეტულად რაში გამოიხატება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვისას დასკვნითი გამოცდის შეფასება, კერძოდ, მაქსიმუმ 100 ქულა გროვდება <u>კომისიის თითოეული წევრის მიერ დაწერილი ქულების შეჯამების შედეგად თუ კომისიის ყველა წევრის მიერ იწერება მაქსიმუმ 100 ქულა და საშუალო არითმეტიკული გამოიანგარიშება</u>. ამასთან, არ გვხვდება სამაგისტრო ნაშრომის **ქულით შეფასების შემდეგ მაგისტრანტის მიერ გასაჩივრების პროცედურის შესახებ კონკრეტული** ჩანაწერი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (პროექტი);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ“;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამების დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ ;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ ;
- სტუდენტური პორტალი (იხ. ლინკი: https://portal.bsu.edu.ge/).
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, როგორც ნათლად გამოიკვეთოს, ისე დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, შეფასების მექანიზმები და დაცვის პროცედურები.
- რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში დაკონკრეტდეს შეფასების სისტემის კრიტერიუმები და რუბრიკები, ბუნდოვანების თავიდან აცილების და მეტი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში დიდი წილი დაეთმოს პრაქტიკული კომპონენტის იმპლემენტაციას;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროგრამის შესახებ სტუდენტების ინფორმფირებულობის ხარისხის გაზრდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგ., აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი და სხვა) სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ

სისტემაში, ე.წ. სტუდენტურ პორტალზე მათ პირად გვერდზე (იხ. ლინკი: https://portal.bsu.edu.ge/).

საგანამანთლებლო დაწესებულებაში სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების ერთ-ერთი მიმწოდებელი სტრუქტურა არის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი. მათი ძირითადი მიზანი არის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონსულტირება და მხარდაჭერა. ასევე, სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, სტუდენტური პროექტების განხორციელება, მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობა. სტუდენტს სასურველი სერვისის ან/და ინფორმაციის მისაღებად შეუძლია თავისუფლად მიმართოს ზემოთ ნახსენებ დეპარტამენტს. როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მათ უსარგებლიათ მოცემული სამსახურის სერვისებით და სისტემატიურად იღებენ მათგან სხვადასხვა სახის ინფორმაციას. კურსდამთვრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოირკვა რომ მათი ნაწილი ჯერ კიდევ არ დასაქმებულები ან დასაქმებულია ძირითადად ბიზნესის მიმართულებით და არა უშუალოდ ეკონომიკის. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რადგან მოცემული სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს, ასევე, პროფესიულ პრაქტიკას, რომელმაც წესით უნდა უზრუნველყოს მათი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაცია და სტუდენტების დაახლოება მათ პოტენციურ დამსაქმებლებთან უშუალოდ დარგის შესაბამისად, საჭიროა გადაიხედოს შესაბამისი მემურანდუმები და განხორციელების პირობები, ან მოხდეს ამ უკანასკნელის მონიტორინგი. რაც ვფიქრობთ გაზრდის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ალბათობას მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრისას დაადასტურეს, რომ მათი დატვირთვა ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც (კერძოდ, 2 სთ.). აღსანიშნავია, სტუდენტები ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია მეტწილად ხორციელდება ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებით. ამასთან, მიმდინარე პერიოდში პანდემიასთან დაკავშირებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს მიიღონ შესაბამისი ონლაინ კონსულტაცია.

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების და სხვათა შესახებ სტუდენტები იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ფაკულტეტისგან. ზოგადად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში ჩართულობის მაჩვენებელი საშუალოდ ჯამში 10-ია. სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს ნაწილმა დაადასტურა ზემოთ აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილების მიღებაც, თუმცა იგივე აქტივობა სტუდენტების მხრიდან

არ ფიქსირდება გაცვლითი პროგრამების მიმართ. სტუდენტთა ინტერვიუირების დროს, მათ აღნიშნეს, რომ ეს მათი პირადი არჩევანია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი სტუდენტთა Erasmus+ სტატისტიკის თანახმად, ძალიან მცირეა (1-3) მათ შორის ეკონომიკის მიმართულების სტუდენტთა რიცხვი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სახის გამოკითხვის შედეგები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობით. ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, ამ უკანასკნელთა მხრიდან დადასტურებულია აღნიშნული. ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებულია მათი შეხედულებები და რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები. ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ ; ○ სტუდენტური პორტალი (იხ. ლინკი: https://portal.bsu.edu.ge/).
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 **წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილება შეიცავს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს, რომლის მე-16** მუხლი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურებს. აღნიშნულ საკითხებს შეეხო ცვლილება 2017 წლის 5 აპრილის N20 დადგენილებით. აქ ნათლად განისაზღვრა, რომ სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს და იგი წარმოადგენს მაგისტრის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგს. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი არეგულირებს იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს სამაგისტრო **ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი.** კერძოდ, იგი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით. თუმცა, მოცემული მუხლის მე02 პუნქტი **არ შეიცავს მკაფიო ჩანაწერს თანახელმძღვანელის არჩევის შესაძლებლობის შესახებ.** ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებისას **თანახელმძღვანელის არჩევის მზაობაც არსებობს.**

სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება თავად სტუდენტების მიერ. სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით. მოქმედ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში არ არის განსაზღვრული თუ რამდენს მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა პირმა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ეს გათვალისწინებული იქნება მოცემული წესის განახლებულ პროექტში და მაგისტრატურის საფეხურისთვის აღნიშნული მაჩვენებელი იქნება მაქსიმუმ 3 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა, დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, არქიტექტონიკის (თემის მოკლე გეგმის) შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში. ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და დაეხმაროს მაგისტრანტს კვლევის სწორად წარმართვაში. ხელმძღვანელი ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას, იგივე რეზენზიას. ხელმძღვანელის მიერ რეცენზირებული ნაშრომსა და მის პრეზენტაციას აფასებს საკვალიფიკაციო კომისია. საბოლოო შედეგები ფორმდება ოქმით.

სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში აღნიშნულია, რომ ვიზიტები ხელმძღვანელთან კონსულტაციებისთვის ხორციელდება 15 საათის მოცულობით. თუმცა, მაგისტრანტებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი ნებისმიერ დროს იღებენ კონსულტაციას ხელმძღვანელის მხრიდან. წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშით მაგისტრანტთა ხელმძღვანელების საშუალო რაოდენობა არის 5-6 პირი. ამასთან, აქტიური სტატუსის სტუდენტის სტატუსით სარგებლობს 29 მაგისტრანტი, ამდენად მათი მიახლოებითი თანაფარდობაა: 6/29=0.2, რაც დაბალი მაჩვენებელია.

ამასთან, **როგორც სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, ისე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი არ შეიცავს მონაცემებს შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებისა და შესაბამისი ქულობრივი გადანაწილების შესახებ.** სახელდობრ, არ ჩანს, რომელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სამაგისტრო ნაშრომი სხვადასხვა შეფასების („ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“ და სხვა) მისაღებად. მართალია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-16 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრულია ნაშრომის შეფასების ოთხი ძალიან ზოგადი კრიტერიუმი (კვლევის აქტუალობა, მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის აკადემიური დონე,

პრეზენტაციის უნარი), მაგრამ არ **ჩანს, რომელ კრიტერიუმში რა მოიაზრება და რომელი მოთხოვნები როგორ უნდა იყოს დაცული, ასევე, რომელი კრიტერიუმისთვის** რა ქულაა გათვალისწინებული და სხვა. აქვე აღსანიშნავია, რომ **როგორც სილაბუსში, ისე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში არაა განსაზღვრული,** კონკრეტულად რაში გამოიხატება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვისას დასკვნითი გამოცდის შეფასება, კერძოდ, მაქსიმუმ 100 ქულა გროვდება კომისიის თითოეული წევრის მიერ დაწერილი ქულების შეჯამების შედეგად თუ კომისიის ყველა წევრის მიერ იწერება მაქსიმუმ 100 ქულა და საშუალო არითმეტიკული გამოიანგარიშება.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით და კონფერენციებში მონაწილეობით. ამასთან, აკადემიურ პერსონალთან, რომლებიც, ასევე, წარმოადგენდნენ მაგისტრანტთა ხელმძღვანელებს, გასაუბრების დროს ისინი აღნიშნავდნენ, რომ მაგისტრანტებს კონსულტირებას უწევენ კვლევით პროცესში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც თავის მხრივ გასაუბრების დროს ადასტურებენ, რომ ნაშრომის წერის პროცესი ორივე მხარის კონსტრუქციული თანამშრომლობით მიმდინარეობდა, ხელმძღვანელები გარკვეული ინტენსივობით ხვდებიან მაგისტრანტებს და აძლევენ უკუკავშირს და კონსულტაციას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო ნაშრომების გადახედვის დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, დადგინდა შესაბამისი უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების სიმცირე. ამასთან. ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ სასურველი იქნებოდა ციტირების დროს გამოყენებულიყო საერთაშორისოდ აღიარებული რომელიმე კონრეტული წყაროების დამოწმების სტილი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის ამომცნობი სისტემა (Turnitin), რომელიც გამოიყენება ნაშრომების შემოწმებისას. დისტანციური ვიზიტის დროს არ მოგვეცა შესაძლებლობა, ახლოდან გავცნობოდით მის მუშაობას. სტუდენტებთან გასაუბრებისას კი გამოიკვეთა, იმის საჭიროება, რომ ისინი უფრო უკეთ ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას აკადემიური კეთილსინდისიერების, მისი დაცვის არსებული მექანიზმების შესახებ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (პროექტი);
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- აკადემიური და მოქვეული პერსონალის პირადი საქმეები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს მაგისტრანტთა

ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით, სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში. • სასურველია, გაიზარდოს მაგისტრანტთა ხელმძღვანელების რაოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს **აკადემიური პერსონალის მიღების წესი, რომელიც შეიცავს ზოგად რეგულაციებს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული** პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურების თაობაზე.

პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევაში მონაწილეობს დამხმარე პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. მათი ფუნქციები გათვალისწინებულია თანამდებობრივი აღმწერებით და პირდაპირ ასახავს პროგრამის განხორციელების ხელშეწყობას. როგორც ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ კლასსა და სტუდენტურ სერვისებში, ისე დეკანატში მომუშავე სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი მიმართული არიან სწავლის შედეგების უზრუნველყოფა-გაუმჯობესებისკენ.

წარმოდგენილი მასალიდან მიხედვით, **აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი 0-ია. ბოლო 5 წლის განმავლობაში 2 ახალი მოწვეული ლექტორი მიიღეს. ამდენად, აშ**კარაა ამ მიმართულებით სტაბილური სამუშაო გარემო. შესაბამისად, წარმოდგენილი გარემოებები, **ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი ადასტურებს, რომ პროგრამა მდგრადია.**

აქედან გამომდინარე, **პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს** პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობენ ქ-ნი ნათია წიკლაშვილი და ბ-ნი მურმან ცეცხლაძე, რომელთა კომპეტენცია დასტურდება, ერთის მხრივ, დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ბოლო 5 წლის სამეცნიერო აქტივობების, მეორე მხრივ, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის საფუძველზე. პროგრამის ხელმძღვანელები, გარდა პროგრამის განხორციელებისა, ჩართული არიან სტუდენტების კონსულტირებაში, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. ამდენად, მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება სრულად პასუხობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

პროგრამის განმახორციელებელი აკადამიური და მოწვეული პერსონალი ასევე წარმოდგენილია მაღალკვალიფიციური კადრებით, რაზეც წარმოდგენას გვაძლევს მათი პირადი საქმეების შესწავლა და ჩატარებული ინტერვიუები. აღნიშნული ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენციები უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობას.

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე, ასევე მოწვეული პერსონალის შერჩევა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად - რექტორის მიერ დამტკიცებული კომისიის მიერ, კონკურსის წესით. აკადემიური პერსონალის ფუნქციები დამტკიცებულია ფაკულტეტის დებულებით.

ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი ცოდნის, უნარების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე 3 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 2 ასისტენტი და 10 მოწვეული პროფესორი (ჯამში 25, თანაფარდობა ჩარიცხულ სტუდენტებთან შეადგენს 25/20 - თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სადაც რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი ფიქსირდება, რადგან პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით ამჟამად სტუდენტთა რაოდენობა არის 29). პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით, ხოლო აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობა რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის თანახმად.

მაგისტრანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელების კომპეტენტურობის დადგენის კუთხით აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევისას გაითვალისწინება მის მიერ დარგის აქტუალური მიღწევების და უახლესი ცოდნის ფლობა, რაც სამეცნიერო კვლევებში და კონფერენციებში მონაწილეობით და შესაბამისი პუბლიკაციებით დასტურდება. ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებების აქტუალურ საკითხებს მოიცავს, ასევე ექცევა ყურადღება ხელმძღვანელის სამეცნიერო აქტივობას კონკრეტული მიმართულებით. ამჟამად სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა 6-ია, რაც პროგრამის 29 სტუდენტთან მიმართებით საშუალოდ 1/5 თანაფარდობას იძლევა და შესაბამისობაშია

„პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესთან“ (პარაგრაფი 20 - ერთდროულად არაუმეტეს 5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა).

ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, ჩართულია სათანადო კომპეტენციის და კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალი (ფაკულტეტის

მდივანი და დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტები), რომლებიც ფაკულტეტის დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შესაბამისი მხარდაჭერით უზრუნველყოფენ როგორც სასწავლო პროცესის განხორციელების, ისე შუალედური და დასკვნითი გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიმართულებით. დამხმარე პერსონალის ფუნქციები გაწერილია ფაკულტეტის დებულებით და რეგულირდება დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის მიხედვით. აკადემიური/სამეცნიერო/ მოწვეული პერსონალის დენადობა ბოლო 5 წლის მანძილზე უმნიშვნელოა, რაც პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“ - დადასტურება #43; • ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულება - დადასტურება #3; • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები - დადასტურება #40; • „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ და ცვლილებები (2020 წლის 14 აგვისტოს ს №07-01/85 გადაწყვეტილება) - დადასტურება ##45-46; • „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ - დადასტურება #47; • საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი (საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, მუხლი 3[1]) - დადასტურება #9; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება 111) - დადასტურება #25 • უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ • ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გადამუშავდეს და დაიხვეწოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების სისტემა;

- სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე, არსებული ფინანსური უზრუნველყოფის ფარგლებში, მეტი წამახალისებელი ღონისძიება გატარდეს აკადემიური პერსონალის უცხოურენობრივი კომპეტენციების ამაღლების და პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობის მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობამ და ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი რეგულარულად ახდენს ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას და შეფასების შედეგების ანალიზს. შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 29 ივნისს მიღებული №46 დადგენილებით: „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ასევე, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილებით: „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“.

შეფასება ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების დამუშავების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, მათი ინტერვიუირებისა და სხვა აკადემიური აქტივობის

პროცესში. ასევე ფასდება სამეცნიერო ღონისძიებებში და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, სამეცნიერო პროექტებში სტუდენტების ჩართვა, საბაკალავრო/ სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სამეცნიერო სემინარების მუშაობაში ჩართულობა, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართულობა და სხვა. აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები და შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის და აფილირების წესებში (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი"; ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 21 ნოემბრის №02-02/43 ბრძანება ,,2017-2018 სასწავლო წლიდან ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ბსუ-სთან აფილირების განსაზღვრის შესახებ").

პერსონალის შეფასება გულისხმობს ზემოთაღნიშნულ სახელმძღვანელო დოკუმენტებში დეტალურად გაწერილი მოთხოვნების შესრულებას (მაგალითად, „სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი" - დანართი 1, მუხლები 3-4), რომლის მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს. შეფასების შედეგები აისახება შესაბამის ცხრილში (დანართი 3), რომელთა ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეკომენდაციებს წარუდგენენ რექტორს და აკადემიურ საბჭოს.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევებში ასახულია სტუდენტური გამოკითხვის შედეგები. თუმცა სასურველია ამ გამოკითხვების უკეთესი სტრუქტურირება სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და აკადემიური/ მოწვეული პერსონალის შეფასების თვალსაზრისით. ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების მიზნით, მიზანშეწონილია შეფასების სისტემა წარმოდგენილი იყოს მკაფიო სქემის სახით, რომელიც მოიცავს:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ ანგარიშგებას;
- პროფესიული განვითარების წლიურ ანგარიშგებას;
- აკადემიური დატვირთვის ანგარიშგებას;
- აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას პროგრამის მონაწილე მხარეების მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით; და
- კოლეგიალური ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების მექანიზმის განვითარებას.

უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ამის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვა მსგავს ღონისძიებაზე მონაწილეობის დაფინანსების წესი. დაფინანსების სისტემის ფარგლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბოლო პერიოდში 4 სამეცნიერო-კვლევითი პროექტი განხორციელდა. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა პერსონალის უცხოურენობრივი კომპეტენციების გასაუმჯობესებლად, თანადაფინანსების საფუძველზე, აამოქმედა ინგლისური ენის სერტიფიცირებული კურსები, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს ზოგადად უნივერსიტეტის და კერძოდ სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ზრდას.

აკადემიური პერსონალის მონაწილეობა უკანასკნელ წლებში ჩატარებულ კონფერენციებსა და ტრენინგებში პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ჩამონათვალის სახით არის წარმოდგენილი და დადასტურებულია პერსონალთან ინტერვიუების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ ; • „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ - დადასტურება #44; • „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ - დადასტურება #48; • „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“ - დადასტურება #43; • ,,2017-2018 სასწავლო წლიდან ბსუ-ს აკადემიური პერსონალის ბსუ-სთან აფილირების განსაზღვრის შესახებ“ - დადასტურება #49; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები - დადასტურება #31; • "სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვა მსგავს ღონისძიებაზე მონაწილეობის დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ - დადასტურება #51; • ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გადამუშავდეს და დაიხვეწოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების სისტემა; • უმჯობესი იქნება სამაგისტრო პროგრამაზე, არსებული ფინანსური უზრუნველყოფის ფარგლებში, მეტი წამახალისებელი ღონისძიება გატარდეს აკადემიური პერსონალის უცხოურენობრივი კომპეტენციების ამაღლების და პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობის მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხანგრძლივი ისტორია და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმ დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ აქ ყველა პირობა არსებობს სრულყოფილი სასწავლო გარემოს შესაქმნელად, რაც, თავის მხრივ, კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური ვიზიტის პირობებში უნივერსიტეტის მთლიანად დათვალიერება ვერ მოხერხდა, აკრედიტაციის ჯგუფს საშუალება ქონდა ენახა ბიბლიოთეკა, სადაც სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა მონაწილეს შეუძლია მოხვედრა (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს - მოწყობილია პანდუსები). ფაკულტეტს ბიბლიოთეკაში განთავსებულია ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ისე ციფრული ფორმით. შერჩევითი შემოწმების შედეგად დადასტურდა ბიბლიოთეკაში ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიერ გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა, თუმცა გაირკვა, რომ ზოგიერთ საგანში გამოყენებული რიდერი ბიბლიოთეკაში არ არის და მას ლექტორები უშუალოდ გადასცემენ სტუდენტებს. ელექტრონული ფორმით ასევე ხელმისაწვდომია უახლესი პერიოდული გამოცემები, გარდა ამისა, პერსონალს და სტუდენტებს წვდომა აქვთ ისეთ საერთაშორისო ბაზებთან, როგორებიცაა: • Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core) • BioOne Complete(http://www.bioone.org/) • e-Duke Journals Scholarly Collection(https://www.dukeupress.edu/) • Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books(https://www.elgaronline.com/page/70/journals) • IMechE Journals(https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche) • IMF eLibrary(http://www.elibrary.imf.org/?redirect=true) • New England Journal of Medicine(http://www.nejm.org/)

- Royal Society Journals Collection(https://royalsociety.org/journals/)
- SAGE Premier(https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier)
- Academic Search ELITE (https://www.ebsco.com/request-information/academic-search-elite)
- Business Source ELITE (https://www.ebsco.com/products/research-databases/business-source-elite)
- MasterFILE ELITE (https://www.ebsco.com/products/research-databases/masterfile-elite)
- MEDLINE (https://www.ebsco.com/products/research-databases/medline)
    - Health Source: Consumer Edition (https://www.ebsco.com/products/research-databases/health-source-consumer-edition);

თუმცა პროგრამა აცნობიერებს, რომ გასაუმჯობესებელია საერთაშორისო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი, რაც, სავარაუდოდ, უცხო ენის ცოდნის დონეს უკავშირდება.

აღნიშნული ელექტრონული ბიბლიოგრაფიის და კატალოგების გამოყენების წესის, საბიბლიოთეკო რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან მუშაობის თავისებურებებზე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა პერიოდულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს როგორც აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან, ისე სტუდენტებთან. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და ინსტრუქციები გამოკრულია შესაბამის სივრცეებში.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სტუდენტთა გამოკითხვების და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა „სტუდენტური პორტალი“, რომლიც ასევე განხილულია 2.6, 3.1 და 5.3 ქვესტანდარტებში.

ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სავალდებულო საგნების სილაბუსები;
- უსდ-ს მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება - ბიბლიოთეკა;
- ბსუ–ს ბიბლიოთეკა http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html
- ელექტრონული წიგნები:
    - https://biblio.bsu.edu.ge/home/index.php
    - https://lib.bsu.edu.ge/index.php?action=5
    - სტუდენტური პორტალი https://portal.bsu.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციულ პერსონალთან და ბიბლიოთეკის თანამშრომელთან.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსების რიდერები ბიბლიოთეკაში ინახებოდეს და დისტანციური სწავლების პირობებში ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული ფორმით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მისასალმებელია ხარისხის სამსახურის კვლევების უნიკალური ელექტრონული სისტემის არსებობა, რომლითაც შესაძლებელია კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და სტუდენტთა კვლევის შედეგების ნახვა ფაკულტეტისა და სწავლების საფეხურის მიხედვით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია 0მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ბსუ-ს და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტები, რომლებიც სტანდარტულად შემოსავლების და ხარჯვითი ნაწილის სახითაა მოცემული. პროგრამის ბიუჯეტში მის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები შემოსავლის 40%-ს შეადგენს, რომელშიც გამოყოფილი არაა ისეთი ხარჯების მოცულობა, როგორებიცაა მაგალითად: სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, პროფესიული განვითარების, შიდა გრანტების, მივლინებების და სხვა ხარჯები. პროგრამის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ საჭიროების შემთხვევაში ასეთი ხარჯების დაფინანსება ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან არის შესაძლებელი, რაც სახელმწიფო უნივერსიტეტებში გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს.

ამჟამად პროგრამაზე 29 სტუდენტი ირიცხება, ხოლო ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია 20 სტუდენტის ოდენობით („ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის“, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის დინამიკის, დასაქმების ბაზრის კვლევის, ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით). ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის ბიუჯეტის თანახმად შემოსავლები 90,000 ლარს, ხოლო ხარჯები 56,610 ლარს შეადგენს და ბიუჯეტის ბალანსი 33,390 ლარია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი **მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: (ა) აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებას,** (ბ) საგანმანათლებლო **პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესებს, (გ) სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას,** (დ) **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, კურსდამთავრებულთა დასაქმების,** დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტებს. მათი ერთიანობა განსაზღვრავს უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას. უნივერსიტეტში **მოქმედი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის** მექანიზმების მიზანია:

- *სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;*
- *საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებაში დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა;*
- *პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია;*
- *სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;*
- *სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია;*
- *რეაგირება-მონიტორინგი* და სხვა.

აქვე საგულისხმოა, რომ პროგრამის მოქმედების დროს შიდა ხარისხის მექანიზმების გამოყენებით გამოვლენილი **ხარვეზები განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე,** რასაც მოჰყვება შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება როგორც სასწავლო კურსებში, ისე პროგრამაში ცვლილებების შეტანის მიმართულებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს **საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი, რომლის მიზანია სხვადასხვა** დაინტერესებული აქტორის (აკადემიური პერსონალი, დამსაქმებელი, სტუდენტი და სხვა) ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში და მუდმივი დახვეწა. როგორც ინტერვიუსა და დოკუმენტაციის

შესწავლის დროს გამოვლინდა, მათი უკუკავშირის საფუძველზე, შევიდა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში მისი განვითარების მიზნით. **თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში, გარდა სამუშაო ჯგუფისა, ჩართული იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები,** რომლებიც ხარისხის სამსახურთან თანამშრომლობით რეჟიმში მუშაობდნენ გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. ხარვეზები ეხებოდა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მათი მიღწევის აქტივობებს შორის სუსტი კავშირის არსებობას, შეფასების კრიტერიუმებში დარგობრივი სპეციფიკის წარმოჩენასა და შერჩეული მეთოდების რელევანტურობის განსაზღვრას. შედეგად პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა შეიტანა გარკვეული ცვლილებები სასწავლო კურსების სილაბუსებში, სწავლის შედეგებ-თან სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისობის თვალსაზრისით, თუმცა წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, რომ კიდევ არის ამ მიმართულებით სამუშაო (იხ. დეტალურად 1.2, 2.2, 2.3 კომპონენტები). არსებულ ხარვეზებზე მუშაობას კოორდინირებას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დარგობრივი ხარისხის კოორდინატორთან ერთად.

ამასთან, საყურადღებოა, რომ **საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებას, მის განხორციელებასა და განვითარების ხელშეწყობას კურირებდა** როგორც საუნივერსიტეტო, ისე საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და კოორდინატორები შესაბამის დეპარტამენტებში.

ჩასატარებელი კვლევების **საინფორმაციო და პროგრამული მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის** საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. ელექტრონულად ტარდება გამოკითხვები. საგანმანათლებლო პროგრამისა და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის ყველა თანამშრომელი, თავის მხრივ, საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის მომხმარებლად განიხილება.

უნივერსიტეტში **შემუშავებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, რომელშიც შედის**:

- საგანმანათლებლო **პროგრამის შეფასება კონკრეტული კრიტერიუმების (ინფორმაციის სისრულე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის** შესაბამისობა პროგრამის შინაარსთან, კრედიტების ადეკვატურად განაწილება, პროგრამის შეფასების მეთოდების და სწავლის შედეგების შესაბამისობა და სხვა) მიხედვით;
- პროგრამით **გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასება სპეციალური კრიტერიუმების (ინფორმაციის სისრულე, მიზნებისა** და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, სახელმძღვანელო ლიტერატურისა და სხვა) გამოყენებით;
- დაინტერესებული **მხარეების (სტუდენტები, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დ**ამხმარე პერსონალის, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა) ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამების შემუშავება-განხორციელების მიმართულებით;
- უნივერსიტეტის **საგანმანათლებლო საქმიანობით, სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური** რესურსებით სტუდენტებისა და პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა

და სხვა დაინტერესებულ აქტორთა გამოკითხვების ორგანიზება და კმაყოფილების დადგენა; ❖ ხარისხის **შიდა და გარე უზრუნველყოფის, ასევე, აკრედიტაციის** საკითხებზე **კონსულტაციების** გაწევა პერსონალისთვის; ❖ ასევე, **აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე თვითშეფასების ანგარიშის მომ**ზადების კოორდინირება და სხვა. თვითშეფასების ანგარიშში არის გარკვეული უზუსტობა, კერძოდ, მე-4 სტანდარტის ბოლოს გასაუმჯობესებელ მხარეებად გათვალისწინებულია (ა) **მაღალრეიტინგული საერთაშორისო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი, საბიბლიოთეკო ფონდის თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების მაჩვენებელი; (ბ) ინფრასტრუქტურის განახლების პროცესის მეტი მოქნილობა**. ამ მხარეების განსავითარებლად დაგეგმილ აქტივობებად განიხილება (ა) **პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში სამეცნიერო სემინარის** მომზადება/წარდგენა, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევების ინტენსიფიკაციას; (ბ) ასევე, თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნის უზრუნველყოფა. თუმცა გასაუმჯობესებელ მხარეებს არ შეესაბამება მის გამოსასწორებლად დაგეგმილი აქტივობები. ამასთან, მე-3 სტანდარტის ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარედ მითითებულია სტუდენტთა სასწავლო და კვლევითი აქტივობებისთვის ფინანსური მხარდაჭერის შემდგომი გაუმჯობესება, ხოლო ამ მხარის განსავითარებლად გათვალისწინებულია კარიერული განვითარების ცენტრთან მეტი თანამშრომლობა, სტუდენტთა და დამსაქმებელთა ფორუმების ორგანიზება. არადა უნდა გამოკვეთილიყო კონკრეტულად, რა გზებით იგეგმება სტუდენტთა სასწავლო-კვლევითი აქტივობებისთვის ფინნასური მხარდაჭერის გაუმჯობესება. დგინდება, რომ გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების აქტივობები სრულად უნდა გამომდინარეობდეს უშუალოდ გასაუმჯობესებელი მხარეებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დამსაქმებელთა კვლევის შედეგები; ○ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები; ○ შიდა შეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“; ○ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ○ „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილება; ○ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ“; ○ ეკონომიკის დეპარტამენტის სხდომის ოქმები; ○ უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის 2014 წლის 07 ოქტომბრის №02-02/60 ბრძანება ,,ბსუ-ს ზოგიერთ აკადემიურ პერსონალისათვის დარგობრივ დეპარტამენტებში ხარისხის

უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქციის დაკისრების შესახებ"; ○ ხარისხის სამსახურის უფროსთან ინტერვიუს შედეგები; ○ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამებოდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სამაგისტრო პროგრამა, **გარდა შიდა ხარისხის შეფასებისა, იყენებს ხარისხის გარე შეფასების მექ**ანიზმსაც. სახელდობრ, გარე შეფასების შედეგები გამოიყენება სამაგისტრო პროგრამის დასახვეწად. ამ კუთხით უმთავრესია აკრედიტაციის პროცესი. პროგრამამ **აკრედიტაცია გაიარა 2012 წელს და ამ პროცესში გამოითქვა რეკომენდაციები:** ა. ეკონომიკის სამაგისტრო **საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც განსაზღვრავს მისი** განხორციელებისათვის აუცილებელ ფინანსურ უზრუნველყოფას (პროგრამისთვის საჭირო რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვა–გადამზადების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროექტებში მონაწილეობას და სხვა შესაძლებლობებს); ბ. **ინგლისური ენის (pre-intermediate) სწავლება,** რასაც 10 კრედიტი ეთმობა, ან ამოღებულ იქნეს პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით და ასეთ შემთხვევაში დაეთმოს მეტი საკონტაქტო საათი კვირაში (იხ. საგანამანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 12 მარტის ოქმი №2).

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ **პირველი რეკომენდაცია გათვალისწინებულია, ხოლო მეორე ზოგადი ინგლისურის სახითაა წარმო**დგენილი. საგულისხმოა, რომ, მართალია, დოკუმენტურად პროგრამას აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, თუმცა აქ არ გვხვდება კვლევითი აქტივობების, შიდა გრანტების, პროფესიული განვითარების და სხვა ხარჯები. როგორც აღინიშნა, ეს ხარჯები საუნივერსიტეტო ბიუჯეტით ივსება. ცენტრალ-ური ბიუჯეტის დოკუმენტით ნამდვილად არის ამ სახის ხარჯები გათვალისწინებული.

რაც შეეხება **მეორე რეკომენდაციას, ფაქტობრივად** ეს არაა შესრულებული. არადა სპეციალიზებული ინგლისური უდავოდ წაადგებოდა პროგრამას.

აქვე საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტმა **წარმოადგინა გარე შეფასების დასკვნა. გარე ექსპერტის მხრიდან გამოთქმულია საინტერესო რჩევები და რეკომენდაციები,** რომელთა სრულად გათვალისწინებაც უდავოდ პროგრამის განვითარებას წაადგებოდა. გარე შეფასების ფარგლებში არსებულ მიგნებათაგან ახლაც პრობლემურია:

(ა) პროგრამაში კონცენტრაციების არჩევის პირობებისა და შესაძლებლობის ნათლად განსაზღვრა;

(ბ) სწავლის შედეგებში სავალდებულო კურსების მთავარ ეკონომიკურ საკითხებზე ძირითადი აქცენტების გაკეთება და ერთ შედეგზე ერთი ზმნის გამოყენება;

(გ) პროგრამაში რთულად აღსაქმელია, რა პრინციპითაა არჩევითი საგნები კონკრეტულ კონცენტრაციებს მიკუთვნებული და სხვა.

გარდა ხარისხის **უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა, სამაგისტრო საფეხურისთვის პროგრამის ხარისხის ამაღლება-განვითარებას მოემსახურებოდა გარე** შემფასებლების (პარტნიორი უნივერსიტეტების გამოხმაურებების, ანალოგი პროგრამების უცხოელი ექსპერტების) შენიშვნებისა და წინადადებების მიღება.

ამასთან, მართალია, უნივერსიტეტი იღებს დაინტერესებულ აქტორთაგან (სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა) რეკომენდაციებს, **მაგრამ იგრძნობა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ მათი სურვილების უფრო მეტად** გათვალისწინების საჭიროება.

დღევანდელი მდგომარეობით უნივერსიტეტს პროგრამაში დაშვების წინაპირობათაგან აქვს დადგენილი ერთ-ერთი უცხო ენის ჩაბარება (და არა ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება), უცხო ენას კი აპლიკანტი ირჩევს. შესაბამისად, აღნიშნულ პირობებში იმ მაგისტრანტებისთვის, რომლებმაც პროგრამაში დაშვების წინაპირობის სახით ჩააბარეს ინგლისური ენა, მათთვის, რა თქმა უნდა, კარგი იქნება დარგობრივი ინგლისური ენის არსებობა, მაგრამ ყველა მაგისტრანტისთვის (რომლებმაც ჩასარიცხად სხვა უცხო ენა ჩააბარეს) კონკრეტულად ბიზნესინგლისურზე ფოკუსირება ვერ იქნება გამართლებული, მით უფრო, რომ პროგრამა ზოგადად ყველა მაგისტრანტის საჭიროებებს უნდა ფარავდეს. ამასთან, უნივერსიტეტის უფლებამოსილებაა, სამაგისტრო პროგრამაში მიღების წესები განისაზღვროს

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- გარე ექსპერტის შეფასება;
- თვითშეფასების ანგარიში.
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

- ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N10 გადაწყვეტილება „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესახებ“;
- საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 12 მარტის №2 ოქმი;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-10/91 ბრძანება;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2021 წლის 25 ივნისის N01-10/45 ბრძანება;
- სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის დახვეწისთვის გარე ექსპერტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების სათანადოდ გათვალისწინება, გარე შემფასებლების ანალოგი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებებისა და რჩევების მიღება-გაზიარება.
- სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს წინა აკრედიტაციის რეკომენდაცია ბიზნესინგლისურის არსებობის შესახებ პროგრამის გაუმჯობესება-განვითარებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის

მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
როგორც დოკუმენტაციისა და **ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, პროგრამის დაგეგმვა-შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მონიტორინგს** კურირებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. ამ მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესისა და სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგსა და ანალიზს. სახელდობრ, ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები. უდავოდ აღნიშვნის ღირსია 2017 წლიდან ამოქმედებული სტუდენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემა სტუდენტური პორტალის სახით. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე და ხდება სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრულ ნიშნულებთან შედარება. პროგრამის განვითარების მიზნით უნივერსიტეტის **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა და გარე შეფასების მექანიზმების დახმარებით** სისტემატურად შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტებში, ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე. როგორც თვითშეფასების **ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგად დადგინდა, უცხოური უნივერსიტეტების (პოლონეთის, საფრანგეთისა და** სინგაპურის და სხვა) ანალოგიურ პროგრამებთან შედარებისას ნაწილობრივ შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა. აქვე საყურადღებოა, რომ პროგრამის **განვითარება-დახვეწისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფესიული შეხვედრა, ღონისძიება, ტრენინგი.** სწავლების თანამედროვე მეთოდებზე ტარდებოდა როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ უნივერსიტეტში ტრენინგები, რომლებშიც მიიღო მონაწილეობა პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა. თუმცა სასწავლო კურსების სილაბუსებიდან იგრძნობა, რომ გასაძლიერებელია სწავლების მეთოდების სათანადოდ გათვალისწინებისა და პრაქტიკაში იმპლემენტაციის საკითხებზე მონიტორინგი. ამასთან, **კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა გამოთქვეს წინადადებები სასწავლო კურსების ჩანაცვლებ**ის ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალისა და ლიტერატურის განახლების შესახებ. მართალია, კარგია **სწავლების მეთოდების სფეროში სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება, მაგრამ იგრძნობა ამ ტიპის** სამუშაოების გაგრძელების, ასევე, პრაქტიკაში სწავლების მეთოდთა გამოყენებაზე მონიტორინგის საჭიროება. **სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ამ ეტაპზეც დგინდება სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნების საჭიროება** (დეტალურად იხ. 2.5 კომპონენტი). **კურსდამ-თავრებულებთან ინტერვიუს** დროს გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი: ა. ზოგიერთ შემთხვევაში ორი-სამი **საგანი არის ისეთი, რომელიც ფაქტობრივად მეორდება სამაგისტრო საფეხურზე და ვისაც უკვე ბაკალავრიატის** საფეხურზე გავლილი აქვს, უინტერესო ხდება. მათი გადმოსახედიდან ეს გამართლებულია იმით, რომ პროგრამაზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს იღებენ რაიმე წინაპირობის გარეშე. გამოდის, რომ ამ გზით ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაში შემოსულ იმ ადამიანებს, რომლებსაც ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა არ აქვთ დასრულებული, გარკვეულწილად საბაზისო ცოდნას აწვდიან; ბ. მართალია, **მაგისტრატურა გარკვეულწილად ითვალისწინებს ბაკალავრიატის დონეზე** მიღებული ცოდნის გაღრმავებას, მაგრამ ისურვებდნენ სამაგისტრო საფეხურზე

ცოდნის გაღრმავებაზე მეტი ყურადღების მიქცევას;

გ. **იგრძნობა პრაქტიკული კომპონენტის ნაკლებობა.** აღინიშნა, რომ პრაქტიკაშიც ისევ თეორიის განხილვა ხდება და ნაკლებადაა აქცენტირებული პრაქტიკული ელემენტები.

მსგავს დეტალებს გაუსვეს ხაზი **სტუდენტებმაც ინტერვიუს დროს. ითქვა, რომ პრაქტიკულ კომპონენტზე სუსტია უზრუნველყოფა.** მართალია, გაფორმებულია მემორანდუმები, რომლებიც ამ საკითხის გაძლიერებას უნდა ისახავდეს მიზნად, მაგრამ პრაქტიკაში ან სტაჟირების გავლისას, ძირითადად, მაინც თეორიული განხილვა მიმდინარეობს. ეს ეტაპი **სტუდენტებმა შეაფასეს, როგორც თეორია საველე პირობებში.** თუ მემორანდუმებს გადავხედავთ, მრავალფეროვანია იმ ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები. თუმცა ისინი ძალიან ზოგადია და **ვერ ირკვევა კონკრეტიკა სტაჟირების დეტალებზე,** არაა დაზუსტებული, კონკრეტულად რამდენი მაგისტრანტის მიღების შესაძლებლობა აქვს ამა თუ იმ ორგანიზაციას და სტაჟირება რა ხანგრძლივობით გრძელდება. რაც შეეხება პანდემიის დროს არსებულ მდგომარეობას, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, პრაქტიკა ფაქტობრივად ჩაეშალათ. პრაქტიკის კომპონენტი არასრულყოფილად ხორციელდება. დგინდება, ერთი მხრივ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში მაგისტრანტთა მინიმალური რაოდენობის მიღების შესაძლებლობისა და პრაქტიკის გავლის ხანგრძლივობის ასახვის, მეორე მხრივ, ამ მემორანდუმთა აქტიურ პრაქტიკაში ეფექტიანად შესრულების საჭიროება.

ზემოთ წარმოდგენილი გარემოებებიდან გამომდინარე, **ამ მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტის აქტიურ პრაქტიკაში განხორციელებაზე აუცილებელია მონიტორინგის გაძლიერება.**

ამასთან, სასწავლო **პროცესის დახვეწის მიმართულებით უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია უნივერსიტეტში ანტიპლაგის პროგრამის** გამოიყენება, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ჩანაწერებს ამ პროგრამის სათანადოდ გამოყენების შესახებ **(დეტალურად იხ. 2.6 სტანდარტი).** სამაგისტრო ნაშრომების გადახედვამ ცხადყო, რომ გასაძლიერებელია აკადემიური წერის სტანდარტების დაცვასა და კვლევითი კომპონენტის სათანადოდ განხორციელებაზე მონიტორინგი.

სტრატეგიული განვითარების **გეგმიდან ჩანს, რომ დადგენილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება, კერძოდ, ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის** საქმიანობის შეფასების წესი. უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის პრინციპთა რეალიზების მექანიზმებად მოიაზრება: ა) სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების, ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, გ) სასწავლო რესურსების, სერვისების შეფასება-სრულყოფისა და სხვა პროცედურები. ხარისხის **უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება გამოკითხვები,** თუმცა საჭიროა, სტუდენტებმა ცალკე შეაფასონ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო-პედაგოგიური ანუ უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც სასწავლო პროცესისა და სასწავლო კურსების შეფასებისგან დამოუკიდებლად იქნება წარმოებული. ეს ხელს შეუწყობს უშუალოდ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. ასევე, **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევებისა და ინტერვიუების საფუძველზე, ირკვევა** ზოგჯერ სილაბუსის აცდენის შემთხვევები. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაძლიერებელია მონიტორინგი.

ამასთან, სამაგისტრო ნაშრომების **სია ისე გადმოიგზავნა, რომ შესაძლებელი იყო სტუდენტთა იდენტიფიცირება შესაბამისი ქულებით,** რაც მათ პირად მონაცემებად ითვლება. არადა ეს ექსპერტთა ჯგუფისთვის არარელევანტური იყო. მოცემულ შემთხვევაში მთავარი იყო, სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი მოეწოდებინათ პერსონიფიცირების გამორიცხვით (დაშტრიხულად ან ინიციალებით).

აქვე საყურადღებოა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. „პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეოგამოსახულება) არის ადამიანის** პერსონალური მონაცემები. ამიტომ პანდემიის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის **სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა აისახოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების თაობაზე** წესში. გასათვალისწინებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ 2020 წელს შემუშავებული რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. საყურადღებოა, რომ უნივერსიტეტის რექტორმა 2020 წლის 1 ოქტომბერს მიიღო ბრძანება „ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ“, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის ბრძანებით ძალადაკარგულად იქნა **ცნობილი და დამტკიცდა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების ახალი წესი.** მისასალმებელია უნივერსიტეტში ასეთი დოკუმენტის არსებობა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, კარგი იქნება, ელექტრონული **სწავლების ადმინისტრირების წესმა მოიცვას რამდენიმე საკითხი:**

(ა) როდის და რა საფუძვლით აქვს მაგისტრანტს ასინქრონული დავალების მიღების უფლება;

(ბ) როგორ რეგულირდება შუალედური და ფინალური გამოცდების (და არა მხოლოდ ლექცია-სემინარების) ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურები;

(გ) ლექციის ვიდეოჩაწერის წესების დასაშვებობის საკითხები, დამსწრეთაგან ნებართვის მიღება;

(დ) ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერების ან ფოტოების გამოყენება პერსონალური მონაცემების დაცვით და მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის;

(ე) ტექნიკურ და შინაარსობრივ საკითხებზე ლექტორთა მხარდაჭერის კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის გზამკვლევების შემუშავება.

ამდენად, ამ წინადადებების **გათვალისწინება დაეხმარება ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და პანდემიის გამოწვევების სათანადოდ მართვას. ირკვევა დისტანციური სწავლების ადმინისტრირების წესის შევსებისა და დახვეწის საჭიროება, რათა მან სასწავლო პროცესის სრული** ციკლი მოიცვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N10 გადაწყვეტილება;
- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილება;
- „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-02/187 ბრძანება;

- „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის N66 დადგენილება;
- „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N46 დადგენილება;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://bsu.edu.ge/ ;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ხარისხის სამსახურის შედეგები;
- კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებასა და აკადემიური სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, უნივერსიტეტში მოქმედმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესმა მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი, შემუშავდეს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები;
- სასურველია, სტუდენტებმა ცალკე შეაფასონ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა;
- კარგი იქნება, მეტად იყოს დაცული კონფიდენციალური მონაცემები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐_შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამა, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 52

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

ხელმოწერა

დავით სიხარულიძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების</u>

ხელმოწერა

მაია ბარამიძე

ხელმოწერა

მიხეილ ბიჭია

ხელმოწერა

ნინო ტალიკაძე